კვირა, 4 დეკემბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკიკ-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 49

ხერხი სპოგბის ლონისა, თუ პასი მოიგონებსა

F644

ბარეშვ. ეს რა ამბავია ხახელმწიფო სათათბიროში?

ძ. ჩხეიძე. ახალი ამბავია. პროგრესიულმა ბლოკმა მოიკოლა ვაჭიუცხადა ბარკოვ მეორეს და რომ თავისი სიტყვა ახლა მაინც მოიყვანოს ხახრულეში ეს ეშმაკური ხერხი მოიგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი პალტოს ისტორია

არ შეიძლება ითქვას, ვითომც ჩემი პალტო, როშელიც ამანოდან დაბრუნების შემდეგ აი იმ ლურსმანზე ჩამოკიდე, მაინც და მაინც დიდი ღირსების საქონელი ყოფილიყოს. ის იარმუკაში ვიყიდე. მართალია მაღაზიის პატრონმა იგი 46 მანეთად დამიფასა, (კაპეიკები აღარ მახსოვს) მაგრამ საათ ნახევრის ვაჭრობისა და რამოდენიმეჯერ შებრუნ-გამობრუნების შემდეგ 16 მანეთად დამითმო.

მაგრამ ეს ობის დაწყებამდე იყო და ახლა სულ ცოტა 7—8 თუმანი მაინც ეღირებოდა!

მახსოვს, დეკემბრის სუსხიანი საღამო იყო, როცა ჩემი პალტო აი იმ ლურსმანზე მივაკიდე. შემოვედი ოთახში, საავარცლისთვის ჯიბეში ხელი ჩავიყავ, მაგრამ მომაგონდა რომ იგი პალტოს გულის ჯიბეში ჩამრჩა და ისევ გავბრუნდი დერეფანში.

ჩემი სავარცელი არც იქ აღმოჩნდა, არ აღმოჩნდა ვინაიდან ვიღაც არამზადას თვით ჩემი შავი პალტოც მოეპარა.

საშინლათ ავღელდი.

— როგორ! განა შეიძლება ასეთი სითავხედე და სიფრცხვე? დაუკითხავთ შემოდიხარ ჩემს სახლში, იპარავ პალტოსა და მიდიხარ? განა შაიძლება ადამიანის ზნეობიერი ღირსება ამ დონეზე ჩამოქვეითდეს? არა, არა, მე ამას ვერავის ვერ ვაპატიებ .. მე უთუოდ ვიპოვი ქურდსა და ღირსეულათ დავასჯეინებ მთავრობას...

სიმხნევეს და ენერგიას ის გარემობა უფრო მმატებდა, რომ პალტოს ჯიბეში სავარცელი იყო და კარგათ მახსოვს სავარცელს ოთხი დიდი კბილი აკლდა თავიდან. ეს კარგი ნიშანი იყო. მე მყისვე დავწერე თხოვნა და მივართვი პოლიციის სამართველოს, რათა ყველა უბნის ბოქაულთათვის ეცნობებიათ ეგ სამწუხარო ამბავი და საჭირო ზომები მიეღოთ დაკარგული ნივთის აღმოსაჩენათ. სამართველოში, როგორც მოსალოდნელი იყო, თანაგრძნობით შეხვდენ ჩემს გასაჭირს და ყოველგვარი დახმარება აღმითქვეს.

ალბათ ამ გრძნობიერი მიღებითა და დახმარების აღთქმით აიხსნება, რომ იმ ღამეს ისე მშვიდათ მეძინა, თითქო ჩემს ოჯახში არაფერი მომხდარიყოს.

დღე-დღეზე მოველოდი პოლიციელის ხელით ამა თუ იმ უბნიდან ჩემი პალტოს დაბრუნებას. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემობაც, რომ ჩემი თადარიგი მარტო პოლიციაში გამოცხადებით არ დამთავრებულა. მე მყისვე მივმართე ჩვენს პრესას და რამოდენიმე გაზეთში ერთსა და იმავე დროს გამოვიდა ჩემი მოწოდება:

„გუშინ 9 დეკემბერს (1914 წ.) ჩემი სახლის დერეფანში დამეკარგა შავი მაუდის პალტო. პალტოს ჯიბეში არის ერთი ცხვირსახოცი და ძველი ბილეთი ტრამვაისა. მპოვნელს უმორჩილესათა ვსთხოვ პალტო დამიბრუნოს ამ ადრესზე“...

აშკარაა, აღნიშნული ზომების შემდეგ სრული საბუთი მქონდა გულდამშვიდებით მეცადა მომავლისათვის. მე ერთნაირი რწმენა და პატივისცემა მიღვიძის გულში, როგორც ბეჭედითი საქმის, აგრეთვე პოლიციის მოღვაწეობისადმი.

არც მოვსტყუვდი. არ გასულა 3 დღე, სახელდობრ 1914 წლის 12 დეკემბერს მეშვიდე უბნის ბოქაულმა დამიბარა თავის კანცელარიაში, სადაც მიჩვენეს ახალი საზამთრო პალტო. სამწუხაროთ ის ჩემი არ გამოდგა. არც ფერი ჰქონდა ჩემი პალტოისა, არც ზომა და თავი და თავი, არც სავარცელი აღმოჩნდა გულის ჯიბეში. ბოქაულს მადლობა ვუთხარი, პოლიციელს გასამჯელო ვაჩუქე და მხიარული სახლში დავბრუნდი. მიხაროდა, რომ პოლიცია ასე ზრუნავდა ჩემთვის.

9 დღის შემდეგ, სახელდობრ 21 დეკემბერს, ღამის 10 საათზე, ჩემი ოთახის კარები კვლავ დაკაკუნა პოლიციელმა:

— გთხოვთ გაისარჯოთ და ეახლოთ მე XI უბნის ბოქაულს, ძლიერ საჭირო საქმეზე.

მე არ მიყვარს პოლიციის წყენინება. თუმცა წვიმდა, საზიზღარი ტალახი იდგა, ეტლი არ იშოვებოდა და ხუთიოდ ვერსი გზა მქონდა გასავლელი, მაგრამ მყის ტანთ ჩავიცვი და წავედი.

ბოქაული ეუბნიანი კაცი გამოდგა. ჯერ გამომკითხა ჩემი პალტოს ნიშნები, ხოლო შემდგომად ამისა, მიჩვენა ახლად ნაპოვნი საზაფხულო პალტო. სამწუხაროთ არც ის აღმოჩნდა ჩემი და ხელცარიელი დავბრუნდი სახლში.

ის ის იყო, 1915 წლის 3 იანვარს, ნათლი მამიხას ქეიფიდან დავბრუნდი. ჩემი ახალი პალტო გავიხადე, ბალიშს ქვეშ ამოვიდე და დასაწოლათ გავემზადე. კარების კაკუნი მომესმა. უურადღება არ მივაქციე. ხმაურობამ იმატა, და ბოლოს ტრაღიკული ხასიათი მიიღო. მე ბარბაკით წამოვდექ და კარები გავაღე.

— თქვენ ბრძანდებით ბ-ნი რ—ი?

— დიახ, მე გახლავარ.

— გთხოვთ ტანთ ჩაიცვათ და გამოგვყვეთ, მეოთხე უბნის ბოქაული დაუყონებლივ გიხმობთ.

ჩავიცვი. წავედი. მიეედი. ბოქაულმა გამომკითხა ჩემი პალტოს დაკარგვის ისტორია. მეც უამბე, რამდენათაც მახსოვდა.

— ეჭვი ვისზე გაქვთ?

— ვინც მომპარა აი იმაზე.

— მაშ იცით ვინ მოგპარა?

— ქურდმა და ავაზაკმა, მე ამაში ღრმათ დარწმუნებული ვარ. არცერთი პატიოსანი კაცი...

— მე გეკითხებით პირადათ თუ იცნობთ...

— უკაცრავათ, მე ქურდებს არ ვი...

ბოქაულმა წარბი შეიკრა და ჩემს წინ საგრძნობლათ გახუნებული ხალტო გაშალა.

— სცნობთ თქვენად?

მე ყოველ შემთხვევაში გულის ჯიბე გავსინჯე, ხოლო რადგანაც შიგ სავარცხელი არ აღმოჩნდა გაჯარით ვუთხარი:

— არა, ეგ ჩემი არ არის.

— მაშ თქვენ თავისუფალი ხართ.

მეც თავისუფლათ ამოვისუნთქე და დიდის გაჭირვებით ბინაზე დავბრუნდი.

2 თებერვალს ჩვენი უბნის ბოქაულმა მიმიწვია. იმასაც ვეახელი. დიპლომატიური შეკითხვა-გამოკითხვის შემდეგ მოხელემ გამოიტანა მაუდის ჩოხა შავი რქის მსრებით.

— ვგონებ თქვენი ჩოხაც შავი იყო, ხომ ვერა სცნობთ თქვენად?

— არა, ბატონო! მე ჩოხა არასოდეს არა მცმია. მე პალტო მომპარეს, თქვენ ალბათ აგერიათ.

— სცდებით, ჩვენ არასოდეს არაფერი აგვერეგა თუ კი თქვენ თითონ არ არიეთ. მე როგორც მახსოვს თქვენ ჩოხის დაკარგვას აცხადებდით.

— არა, არა.

— არა, არა... მაშ ჩვენ ვსტყუით თქვენის აზრით?

— არც მიფიქრია... თქვენ ალბათ შეგცდათ.

— გთხოვთ თქვენს შეცდომა-ცოდ-ნა ახვეთ თავზე. პირდაპირ შეუწყნარებელი საქციელია, ჰკარგავთ და რა დაჰკარგეთ არ იცით. იმედია შემდეგში უმიზეზოთ ალარ შეგვაწუხებთ.

— არასოდეს, ბატონო ჩემო!.

სწრაფად გამოვედი ოთახიდან და დავხწყვეტილ ის დღე, როცა მე ჩემი შავი პალტო დავკარგე. გავიდა თებერვალი. ჩემი პალტო თითქმის გადამავიწყდა.

1 მარტს პირველი უბედურობა მოხდა ჩემს ცხოვრებაში,—მე დავბიდდე. რასაკვირველია ამ 1915 წლის პირველ მარტს არ მოვლენილვარ წუთისოფელს, მაგრამ იმ შორეულ შემთხვევის ალსანიშნავათ მოვიწვიე ჩემი ახლო მეგობრები სამასლაათოთ და დროს გასატარებლათ.

ტკბილს ეუკეუკში ვიყავთ, როცა კარები შემოიღო და მოულლოდნელათ პოლიციელი შემოვიდა. ზოგიერთ ჩემს სტუმარს თავზარი დაეცა. მიკითხეს და ცალკე გამიხმეს მე.

— თქვენ პირველი უბნის ბოქაული გიბარებთ.

— რისთვის?

— რა მოგახსენოთ. გთხოვთ ნუ გვაგვიანებთ.

— მოიცმინეთ ცოტა, ახლავ გეახლებით.

დროებით გამოვეთხოვე სტუმრებს და წავედი. ჩემი სახლიდა ბოქაულის კანცელარიამდე საათ ნახევარის გზაა. ვინაიდან ვერც ეტლი და ვერც ტრამვაიში ადგილი ვერ ვიშოვეთ ფეხით მოგვიწია სიარული და რასაკვირველია დაგვიგვიანდა.

— ახირებულია სწორეთ თქვენი არა თავაზიანობა,—შესვლისთანავე მომახალა ბოქაულმა—თქვენს საკუთარ საქმეზე გიბარებთ და მაინც ამდენ ხანს ალოდინებთ ადამიანს.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ფეხით მომიწია წამოსვლა.

— ეგ ჩემთვის სულერთია. მე მაინც მალოდინეთ... შარშან დეკემბერში თქვენ დაგიკარგავთ პალტო, ხომ ეგრე იყო?

— დიახ, მართალია.

— პალტო შავი ფერისა ყოფილა.

— დიახ, დიახ.

— აი ინებეთ, გასინჯეთ თქვენი პალტო ეს ხომ არ არის?

— არა, ბატონო, ჩემს პალტოს კრაველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყელო არაჰქონია უბრალო იყო.

— როგორ თუ უბრალო?

— ისე... უბრალო...

— სირცხვილია სწორეთ, თუ უბრალო რამისათვის ამდენს გვაწვალებთ. თავისუფალი ბრძანდებით.

მეც მადლობა გადაუხადე, ეტლი ვიშოვე და სახლში დავბრუნდი. იქ სტუმართაგან არავინ აღარ დამხვედრია. ყველას ჰგონებოდა, რომ მე დამატყვევეს და ეს ამბავი ჩემს ნაცნობებში უმალ გავრცელებულიყო. ვინ იცის რა და რა მიზეზი დაეჭირისა არ გამოწნახათ. ზოგი თურმე ამბობდა:

— თვითს იჯარა ჰქონდა აღებული და იქ რაღაც ონი ჩაუდენიაო.

მეორენი ფურჩხულობდენ:

— თივაში პირწმინდათ არის გამოსული, მაგრამ ტყლაპის შესახებ ჩაუკიდიათ ხელიო.

ზოგ ზოგი ამტკიცებდა;

— ცხადია გაუგეს „სპირიდონის“ გადატანის ხრიკები და მახეში მოიმწყვდიესო.

ბევრი ამასაც კი ამბობდა:

— სასურსათო საქმის მოუახრაკებაში იღებდა მონაწილეობას, დიდძალი ფული ასწაპნა და როგორც მოსალოდნელი იყო ორივე ფეხებით გაეგაო.

მეორე დღეს ყველა ჩემი მეგობარი გაკვირვებული და შეწუხებული იყო... ჩემი ასე მალე განთავისუფლებით.

გავიდა მარტი, აპრილი, მაისი. 6 ივნისს რამდენიმე თვით საგარაკოთ წავედი. ჩინებულათ მოვეწყვე და პირველი კვირის დამლეგს სასწორმა ჩემი ორგანიზმის უჩვეულო წარმატება აღნიშნა. ერთი კვირის განმავლობაში 5 ბირვანქა ნომემატა წონაში. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მე ვანგარიშობდი: კვირაში თუ ხუთ ხუთი ბირვანქა ვიმატე ორ თვე ნახევარს უკვე ერთი ფუთი მექნება სათადარიგოთ შემონახული მეთქი. მაგრამ ხომ მოკეხსენებათ: „კაცი ბეჭობდა, ღმერთი იცინოდაო“.

14 ივნისს, დილის 10 საათზე, ჩემს აგარაკზე გამოცხადდა მამასახლისი და გადმომცა ბრძანება: დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყავ ქალაქში მეოცე უბნის ბოქაულთან. მამასახლისს უნდოდა ჩემი ეტაპით გამოგზავნა, მაგრამ გამომიჩნდენ თავდებნი და ნება მომეცს პირველი ტატარებლით წამოვსულიყავ.

ბოქაულმა მისაყვედურა საქმის მიტო�ება და საგარაკოთ წასვლა. შემდეგ წამიკითხა მიწერილობა ჩემი პალტოს შესახებ და ... ჩვენა პაგონ აყრილი, აფიცრის რუნი ბინელი.

— ფერი თუმცა რუხია, მაგრამ მაინც შეგიძლიათ დაათვალიეროთ, ყოველ შემთხვევაში მე ვალდებული ვარ თქვენ არ დაგიშალოთ თუ კი რამ აღმოჩნდება.

— გმადლობთ ყურადღებისთვის. მაგრამ ეს სამხედრო ფორმის საცმელია, ჩემსას სრულებით არა ჰგავს.

— რა გაგწყობა, იქნებ შემდეგში აღმოჩნდეს, იმედი ვიქონიოთ.

მე მეორე დღესვე დავბრუნდი უკან. ამ მგზავრობაში, გარეშე 25 მანეთი ფულისა, 11 ბირვანქა წონაშიაც დავკარგე და მთელი ზაფხული ძველ საზღვრებში ჩემი სიმძიმის აღდგენას მოვანდომე.

მე აზრათ არა მაქვს ჩემი მწუხარება თქვენ მოგახვიოთ თავს და ამიტომაც ვრცლად არ მოვიყვანო მთელს ისტორიას ჩემი პალტოისას.

16 ოქტომბერს მე XIV კლავ დამიბარეს მე XIV უბანში, ხოლო 29 დეკემბერს XVI უბნის ბოქაულთან და ამგვარათ გადმოვედით 1916 წ. რაიონში.

უკანასკნელი წლის 12 იანვრის საღამო მე XIII საპოლიციო უბანში გავატარე და ერთგულად გასინჯე ვიღაც მასწავლებლ ს მოწიალო პალტო. რომლის ჯიბეში აღმოჩნდა პატარა უბის წიგნაკი რაღაც საარაკო ნიშნები.

21 თებერვალს ვეახელ მე XXII უბნის ზედამხედველს, ხოლო 7 აპრილ იმავე ნაწილის ბოქაულს.

18 აგვისტოს საჩქაროთ მიმიწვია XXX ნაწილის ბოქაულმა, მაგრამ რადგან გზაში შემაგვიანდა აღარ დამიცადა და მეორედ მისვლა დამეჭირდა.

დასასრულ, 27 ნოემბერს ვინახულე მეხუთე ნაწილის უფროსი და გავსინჯე შავი მაუდისაგან შეკერილი ქალის პალტო. ზედამხედველმა მისაყვედურა განცხადებაში გაურკვეველათ აღნიშნვა.

— საჭიროა განმარტება პალტო კაცისაა თუ ქალის; ეს რომ ჩაგეწერათ ამდენ ხათაბალას ავშორდებოდიო.

ახლა დღე დღეზე ველი ბრძანებას ამა თუ ამ ნაწილიდან. როცა გზეთში განცხადებას კკითხულობ: ესა და ეს ნივთი დამეკარგაო, ტანში ჟრუანტელი მივლის. მეშინია პოლიციამ ქურდი არ დაიჭიროს, ნაპპრავი საქონელი არ წაართვას და გასინჯვათ მე არ გამიწვიოს.

ეშმაკი.

ამონაკვნესი

ალარ მახსოვს, წელიწადი
მეორეა თუ მესამე,
რაც ტ ჩემოვის კადაშვდა
და სიცოცხლეს კანკესალმე.

დღის სინათლე ჩამებეჟეტა,
იგი სხვისთვის მოკამკაშე...
ეზიავრ მარტოდ, უნუგეშო,
ეტარი, ტრემლით დაენამე.

ამ ეოფაში მიდის, ხოლმე,
მთელი დღე და მთელი ღამე;
სიკვდილიც არ მეკარება,
ისიც ვეღარ მოვიქრამე.

შეეძულე ეგ სოფელი,
ალარა მარწმს მასი რამე.
დამიმძიმდ ეგ სიცოცხლე
ვიტანჯენი,—ვაჯმე, ვაჯმე!!!

ეზეკვ სრულად დამეხოცა
ნაცნობი და შეგობარი.
არც მკაეს სულით ნათესავი,—
კანმეშორა, მოთხრა ეარი.

სასოებს ეარ მეკვეტ,—
ეზიავარ ასეკეცოცხლ მეკვარი;
სულიც ალარ კანმეშორა,—
ტანჯული და კანმეწარი,
თუმცა ღია დაეუტოეე
ეასხეფდელად ამას კარი.

შეიმუსარა ეკრძობა სეკვიდ,—
— ეკრძობა ბრდის შესალარი.
კადაკლიტ ეკულის ეური
იქ სიცოცხლე ალარ არი.

ულმობელად ამოსუნქა
ბეულმა სეკვიდ ნაალეკარი,
და ეალეკა ეგ სიცოცხლეკ,
რადა მქეკა!! მეკვარი, მეკვარი!!

ალ. ბ ლ ი ქ ვ ა ძ ე

სამეგრელო

პარტენი ეშმაკო! რამ მოგაძულა ეს ჩვენი ქვეყანა, რათ არ აქცევ ხანდისხან ყურადღებას, რისთვის არ ჩამოიელი ხოლმე დრო გამოშვებით? შარშან კახეთი მიმოიარე, სხვა ადგილებიც მიმოველილი გაქვს და ამ ჩვენ „სამარგალლომ“ რაღა დაამავა? შეიძლება ჩვენნი ხანჯლიანი ხალხის გეშინია?. მაგრამ შეგემატათ მისი ხანი და ნეტარხსენებული სარდიონ ფადავი კი განესვენა აგერ სამი წელიწადია... მეტი ვისი უნდა გეშინოდეს? ასე მიტოვება ჩვენნი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხისა—სახელდ სადღიანოსი—ყოველთათ შეუძლებელია. შეიძლება ფიქრობ, სამეგრელოს არაფერი აწუხებსო? ეგ შემცთარი აზრი იქნება. ჯერ 1905 წელშიც პავლე აკობია ამტკიცებდა სამეგრელოს გასაჭირს, „პერტე“ და „ეახუც“ უმტკიცებდენ გლეხებს, თავის „საპარპაგანდო“ სიტყვებით, რომ „სამარგალოსაც“ ის უნდა, რაც გურიისო. მას შემდეგ, ხომ იცი, ჩვენო ეშმაკო, სამეგრელომ დიდი ნაბიჯი გადადგა... მაშასადამე ამ მოსაზრებითაც სამეგრელო ღირსია ყურადღებისა! ორის კიდეკ ერთი მთავარი მოსაზრება—სტრატეგიული საზღვრის მოხაზულობა. ჩვენი ერის სიმაყე, დიდი თევდორე ფლინტი, სტრატეგიულ—ტერიტორიალურ მოხაზულობას ინდოეთის ოკეანესაკენ ეძებს და იქითა ადგილებსაც იერთებს და თქვენ კი საქართველოს განუყრელ ნაწილს „სადღიანოს“ თქვენი საბრძანებლის გარეშე სტოებთ. ეს, მგონი არ მოგეტევებათ.

ამიტომ ჯიმა პერტე, ჯიმა დირმიტი, ჯიმა გახუ, ჯიმა კოჩაიე, ჯიმა ბახეა, ჯიმა უტუეეი და სხვათა დავალებით პროტესტს გიცხადებთ, დაუყონებლივ მოვითხოვთ თქვენგან შემდეგს: 1) დაარსდეს სამეგრელოს ერთ-ერთ ცენტრში თქვენი საუწყებათაშორისო ბიურო; 2) მიეცეს თქვენს საბრძანებელ დაწესებულებაში სამეგრელოსაც ხმა; 3) მოგვეცეს ჩვენც უფლება ვატაროთ თქვენს სამხედრო სახელოსნოში დამზადებული მათრახები; 4) მოგვეცეს სრული უფლება ვამათრახოთ ჩვენთვის ურჩი ხალხი; 5) მოგვეცეს უფლება შევადგინოთ ჩვენი რაზმი და ავტონომიურ დამოკიდებულობაში ვიყოთ თქვენს საბრძანებელთან. ეს უკანასკნელი მით უფრო საჭიროა, რომ შეიძლება მომავალ საქა-

რთველოს სახელმწიფოში ვ. ლოლუას რაზმმა ავტონომია მოითხოვოს სამეგრელოსათვის, ჩვენ ნიადაგი წინასწარ უნდა გვქონდეს მზათ.. თედო სახოკია კი არ შემცთარა 1905 წელს, როცა მან ფოთში მეგრელთა უტუს რაზმი შეადგინა. მოვითხოვთ ამ ხუთი მუხლის დაუყონებლივ დაკმაყოფილებას, დაკმაყოფილებისას კი გვეკლებათ ჩვენსკენ გამოსირნება. მანამდე თქვენი მათრახებით ურჩ მტრებს გვგონებ წელში გაესტეხთ.

ვინაიდან თქვენ, პარტიონ ეშმაკო, ჩვენს მხარეს ნაკლებათ იცნობთ და რომ დაინტერესდეთ მისი სავსებით შესწავლით, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თავს გაგაცნოთ „სამარგალოს“ შინაგანი ცხოვრება.

სამარგალო ისეთივე სამთავრო იყო, როგორც აწ განსვენებული მთაშავეთი. მთავრობდენ ძველათ დადიანები. დადიანები უაღრეს ნიჭით დაჯილდოებული მთავრები ყოფილან. მათი დინასტიის სიტყვიერი ისტორია გადმოგვცემს, რომ თურმე ერთ-ერთი მათგანი, აგერ მეცხრამეტე საუკუნეში ბალკანეთის სახელმწიფოს მეფეთაც კი მიუწვევიათ. მაგრამ მას, როგორც იგივე ისტორია გადმოგვცემს, უარი უთქვამს მეფობაზე სხვა და სხვა მოსაზრებით, სხვათა შორის, ბალკანეთის აწეწილ-დაწეწილი საქმეები ჰქონია ნათლად გათვალისწინებული. მართლაც მისი წინასწარი გრძნობა ამ მეოცე საუკუნეში სავსებით გამართლდა. ბალკანეთი თანამედროვე ომის მიზეზი შეიქნა. მაშინ ხომ სამარგალო და მისი მთავარი შეიქნებოდა პასუხმგებელი მომავალ კატაკლიზმის წინაშე. ასცდა „სამარგალო“ საჯაყ საქმეს...

დღეს კი თანამედროვე მსოფლიო ომმა არც სამარგალოში ჩაიარა უმნიშვნელოთ. საერთო ომის ფერხულში ესეც ჩაერია.

და ფარხმალი ამანაც აიხსა. დღეს „სამარგალოს“ გაწყვეტილი ჯარი სამ ფრონტზე იბრძვის: ნაწილი ჯარისა კავკასიის ფრონტზე, მეორე ნაწილი აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე, მესამე **ნაწილი კი მდინარე ტეხურ-აბაშა—ხობის წყლის ხეობებში.** აქ ბრძოლა სერიოზულია და ჩვენს ჯარს დიდ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან აქვს საქმე. გამოჩენდენ გენერლების ქაჯაია—გამეზავეს, გეგესლიანი-ბელუბაეს არმიების რაზმები. მოწინააღმდეგე ძლიერია. ჩვენი ჯარი განსაკლდელშია, მშვიდობიანი მცხოვრებლები გამორბიან. ბევრი ქალაქები დასცალ ჩვენმა ჯარმა, მცხოვრებთა ევაკუაცია გაცხარებით სწარმოებს. ხალხი გამორბის ცენტრალურ ქალაქებში. სენაკში დიდ ძალი ლტოლვილია, ქუჩები სავსეა, დუქნებში და სახლებში ტევა არ არი. მრავალი გადმოხვეწილი უთავ-შესაფაროთაა. ისინი ბრძოლის ასპარეზის დიდ საშინელ სურათს გადმოგვცემენ. მოწინააღმდეგეთა ჯარი არავითარ საშუალებას არ ერიდება. სადაც კი შესულან ყოველ უძრავ-მოძრავი ქონების რეკვიზიცია მოუხდენიათ. პირუტყვება ერთიანათ წარეკეს თურმე, მძეულათ ბავშვები და ქალთა სქესი მოუთხოვიათ. ცოტა რამ ღირებულობის ნივთი, ნიფხავი და მისი ამხანაგიც კი არავის შეარჩინეს თურმე. ზედმეტი სახლები გადაუბუგავთ. გაამეფეს სამხედრო საველე სასამართლო. ოცდა ოთხ საათში საქმე მორჩომილია. ვინმემ თუ რაიმე დაიჩურჩული და შეურაცხყო ძლევა მოსილ ჯარის ღირსება, მაშინათვე მისი საქმე გათავდა, გამოიწირა. ერთის სიტყვით, ძლევა მოსილი ყაჩაღეთის ჯარი დიდ სისასტიკეს იჩენს. აშკარათ არღვევს საერთაშორისო უფლების სამართალს. საჭიროა ამაზე მეზობელ ნეიტრალურ სახელმწიფოებმა ხმა ამოიღონ და პროტესტი გამოუცხადონ. გადმოხვეწილებისათვის კი საჭიროა ფიცხელი ზომები. ეს პირველი მოვალეობაა სენაკისა და ზუგდიდის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებათა განყოფილებებისა. აქედან მაინც გადადგან ამ დაწესებულებებმა თავის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯი. ეხლა მაინც არ დარწმუნდება ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ. ი. ჩიქოვანი, რომ ჩვენს ქვეყანაში გადმოხვეწილებს აქვს ადგილი?..

მაგრამ არის იმედი, რომ საბოლოოთ ჩვენი ჯარი გაიმარჯვებს. ჩვენს შორის დგება ახალი ძლიერ საგრძნობი რაზმი ჯამალეფისა და ამხანაგებისაგან. მაშინ სრული იმედია, ყაჩაღეთის ჯარს ბოლო მოეღება. მხოლოთ მეზობელ სახელმწიფოების იდეური დახმარება მაინც საჭიროა. აბა ვნახოთ, რას გვეტყვის ჩქინი ჯგირი მოჯგირე გურია?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მხარე მოხსენებისა ამით გავათავოთ, პარტენ ეშმაკო. დანარჩენს შემდეგ გიამბობთ გასაჭირი და სალხინო, სადარდო და სასაცილო ჩვენც ბევრი გვაქვს.

ჯიმა კოჯი.

ზღაპარი

(ხალხური)

ერთმა ტლუ ვაჭარმა
სადღაც მოჰკრა ფული:
ქალაქიდან ერთ ქუთს,
მოდისო დასტური,
და ამ ქამში ვინც კი
რასმე მოინატრებს;
დმერთი მაანიჭებს
და მით კასხარებს...
დაფიქრდა ვაჭარი
და ეს მოუფიდა;
სთქვა:—მოდი ,,რისკს'' კაჭუნე,
ფული შიგნა მინდა.
ბიჭს დაიქირავებ,
ვინმე ტეტიასა;
მოგუფენებ დიდ ლოდს,
ტოტას მიეგემ ფასსა.
დე, იძახოს შუდამ:
— იქეც ოქროს ფულთა.
ოხ, რომ იქეცეს მართლაც,
ვიცხოვრებ მეფეზათ!
ასედაც მოიქცა;
ბიჭი კაბანასა,
მოუფენა ლოდს და,
სულ ისე ძახს.
კაციდ დრო-ხანი,
კაცსეიდა ქედი,
მაგრამ არ შესრულდა,
მისი საწადელი.
ბიჭსაც მოეწყინა;
სთქვა:—რად შექეც ჭირათ?
თავი მომაბეზრე,
დე, იქეცი ვერათ.
და მეის ლოდი იგი
ვერად კაისა,
ქამოდგა და ჭანკი
თვისი შემოსძახა.
რა კაიგო ეს,
მოგარდა ვაჭარი... ბიჭს დანძდვის და კრულვის
აუფენა ქარი.
წეეფდა ორ ფეხი,
ბრიეფდა და ტეტია
რათ დამდუბე შდეგი,
ნაგავის ხვეტია!
,,ოქროს ფულთა იქეც''
კიდევ ერთხელ—კეთქვა,
შემდეგ თავში გერტეა
ეს, ვერი და ეს ქვა.

როკოკო.

ქრონიკა

✦ თფილის ქალაქს დაბრუნდა ქ. უ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სკოლათა მეთვალყურე ბ-ნი გრ. ჩურჩულაძე. ბ-ნ ბურჩულაძეს დაუთვალიერებია ბაქოს სკოლა. ბ-ნ ბურჯულაძეს აგრეთვე დაუთვალიერებია კაკავეის სკოლა. იმავე ბ-ნ გრ. ჯურბულაძეს დაუთვალიერებია ნალჩიკის სკოლა. შემდგომად ყოველივე ამისა პატივცემულ გრ. ბურჯულაძეს უნახავს გერგეთის სკოლაც. შემდეგ კი ბ-ნი ჩურეულაძე ჩამობრძანებულა ქ. ტფილისს. („სახალხო ფურცელი")

✦ ვიდაც არამზადამ ტრამვაის ვაგონზე ჯიბიდან ამოაცალა საფულე, რომელშიაც იყო დოკუმენტები და ფულათ 121 მანეთი. უმორჩილესად ვსთხოვ მპოვნელს, დოკუმენტები თიოონ დაიტოვოს და ფულები საფულეთი (ნაჩუქარია) დამიბრუნოს. მიიღებს აგრეთვე „ასამრჯელოს". ტფილისი სპირიდონის ქუჩა. № 17. ბინა ივანე დოყლაპიაშვილისა". („სახალხო ფურცელი".)

✦ საბოლოოთ გამოირკვა, რომ სათანადო გამგეობა იჯარითა სცემს „სახალხო სახლის" კულისებში არსებულ სამეიტნო დუქანს. შესასვლელი ეზოდან ექნება. დუქანში შეიძლება ყოველგვარი მაგარი სასმელის გაყიდვა, გარდა წმინდა „სპირიდონისა". ამასთანავე სასტიკათ აკრძალული იქნება ყალიონისა ან ჩიბუხის მოწევა. მსურველებმა დახურული წერილით უნდა გამოგზავნონ თავისი პირობები, სადაც ჯერ არს.

„საქართველო"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში მცხოვრებსა,
„ბუზ მეგობრესა",
ბინა რომ უყვართ
მყუდრო და „თფილი"—
დანახვა ამის
გახლავთ ადვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს აცივდება
იმა ბინაზე,
ხადა ილხენდენ
გუშინ წინაზე,
ფრთებს აიწყობენ
და გაჰქრებიან...
ზოგჯერ კიდევაც
გვენატრებიან.

პატარა ამბები

მომენტის სიმძიმე

გასული თვის 13, გულის ამჩუყებელი ამბავი მოხდა ქალთა საპარქიო სასწავლებელში. ამ დღეს თავისს ძვირფას მასწავლებელს და ინსპექტორს კ. კეკელიძეს, რომელიც დანიშნულია თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორათ, გამოეთხოვა აღნიშნული ზემორე სასწავლებელი. ამის გამო გაზ. „საქართველოში“ ვკითხულობთ:

„წირვისა და პარაკლისის შემდეგ ძვირფას ნაინსპექტორალს „მრავალ-ჟამიერ“ უგალობეს და შემდეგ მოწაფეებმა სიტყვებით მიმართეს. ყველა სიტყვაში ღრმა ნაღველი გამოსატებოდა, ყველანი გულის ტკივილით აღნიშნავდენ **მომენტის სიმძიმეს.**“

ორივე სქესი ქართლოსიანთა მოდგმისა ცნობილია განუზომელის გულჩვილობით, მაგრამ „მომენტის სიმძიმე“ მაინც უნდა გაიზომოს რითიმე. ნეტარ ხსენებული ჩვენი სოლომონ ზურგიელიძე თუ ცოცხალი ყოფილიყო უთუოდ გაიმეორებდა თავის ისტორიულ აფორიზმს:

„ის იწონიდა სიმძიმეს დიდსა
სულ რომ ცოტა ვსთქვათ გირვანქ სტერლინგსა“.

—

„ეძიებდეთ და ჰპოვებთ“.

ქართველმა საზოგადოებამ ჩვეულებრივის ზეიმით იდღესასწაულა მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების დღე. სხვათა შორის განსვენებული მგოსნის ხსოვნას ჩვეულებრივ ღრმა შინაარსიანი წერილი მიუძღვნა ჩვენმა კრიტიკოსმა **იოსებ არამათიელმა** ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“. წერილი ასე თავდებოდა:

„და დიდს წინაპარს რომ ღირსეული მემკვიდრე არ გაუჩნდეს არ გვჯერა: შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც გაჩნდება დაეს იქნება იმ საქართველოში, რომელსაც შეტრფოდა მგოსნის ობოლი სული სოლომონ მსაჯულის ბაგით...

ვეცადნეთ, რომ ეს წამი მალე გვღირსებოდეს“...

და აი, წინასწარმეტყველური ლაღადი ჩვენი ცნობილი კრიტიკოსისა თითქოს ეს ყველა დაკვირვებულ-და. „თეატრისა და ცხოვრებისა“ **ბიბლიოგრაფიის** ზემო აღნიშნული წერილისათვის მიუყოლებია ლექსი, რომელიც ხარკს ასხამს ბ-ნი იოსებ არამათიელის ნატვრას. აი ის ლექსიც:

„ნ. ბარათაშვილის ხსოვნას!

შენ არ მომკვდარხა, დროებით
შესწყვიტე გულის ძგერანი;
დადუმდა მხოლოდ, მგოსანო,
უმხედროთ შენი მერანი!..
არ კვდება, თავზე დაგვყვირის
წყეული შავი ყორანი,—
უმხედროთ დადუმებულა,
მგოსანო, შენი მერანი!
თავს დაგვტრიალებს ტიალი
შავი ყორანი ვერანი,—
უმხედროდ მოწყენილია,
ნიკოლოზ შენი მერანი!

ვასო როინაშვილი.

საქმე იმაშია, რომ უკანასკნელი ორი კუპლეტი შეიძლება დაუსრულებლათ გაგრძელდეს და მთელი ტომები გამოვიდეს პოემისა; აი ასე:

„ნეტავ რას ფრინავს ტიალი
ყორანი შავის ფერანი,
ფრუტუნებს უმხედრობისგან
ნიკოჯან შენი მერანი...
რისთვის არ კვდება არ ვიცი
ეგ უსინდისო ყორანი...
რა რიგათ დაღვრემილია
მგოსანო შენი მერანი... და სხვა და სხვა.

მორიელი.

„ოჯახური საღამო“ *)

(ვუძღვნი ჭიათურის ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს).

სცენა I მოქმედებათ

მოქმედნი პირნი:

ივთანდილ პაკნიკაძე
დარეჯანი, ამისი ცოლი
კირილე
ვანიჩკა
ვასო
კოლია
კოწია
სოლომონი
ნინო
ელენე
ფაცია, და სხვა მრავალი ქალი და კაცი.
} ივთანდილის სტუმრები.

ვასილა
ალათია } ივთანდილის მოსამსახურენი.

(სცენა წარმოადგენს ივთანდილის სადარბაზო ოთახს, სადაც სხვადან ორ ჯგუფად კაუოფილნი: ქალი და კაცი ორ სტოლთან. ერთ სტოლზე თამაშობენ დოტოს, ხოლო შეორეზე ფრანხ. ფარდის ახდისას ისმის ხმები; ფრანჯ, ვისტ, ჰამგუ, ტერნო, ამბო, კვიტერნო და სხ.)

კირილე. (ადგება და ქალებთან კადასვლას აპირებს, მაგრამ ვაკეები ეშინდებიან კალთაზე და არ უშვებენ) გამიშვით, ბოშო, გამიშვით, კუდი არ მომგლიჯოთ, თქვე წყეულებო!

ხმები. არ შეიძლება, არ გაგიშვებთ!

კირილე. (იწევს) აბა, თქვენ ნუ მომიკვდებით ბულბულებს დავტოვებ და ყვავებში დავრჩები.

ქალები. არ გვინდა, არ გვინდა!

კირილე. ბოშო, არ გვინდა იძახით და თვალებს ქე მიპაჭუნებთ, რაკაა აგი?

ქალები. უჰ, ღმერთო მოგვკალი! რას ლაპარაკობ, შე სასიკვდილე შენა! (დაესვენენ ქალები კირილეს და ანჯერეზენ).

კირილე. იმე, ნუ მომკალით ბოშო, ყველას გეყოფით საარშიყოდ, წორერედით იყოს, ორერედი... არც ერთს არ გაწყენიებთ... (ამ სიტყვების შემდეგ უფრო ანჯერეზენ კირილეს. დიდი სიცილი და ხმაურობა. ქალები სჩქმეტენ კირილეს. კირილე ტტის და ეგერის). ხორცი ნუ დამაგლეჯეთ, ბოშო! ორერედით იყოს, ორერედით. (ასდგა, ჩამოეცალა ქალებს ანქეთ იქით და დაჯდება მაგ სტოლთან).

დარეჯანი. კირილე ეკვიანათ იყავი, თორემ ეხლავე აგაგდებ მაინდან.

კირილე. კი ბატონო, ამაგდე და შენთან დამაჯინე თუ რამე დავაშავო.

დარეჯანი. ჩემთან დაჯდომა კბილებს დაგაჭერის.

ვასილა. (სამზარეულოში მიმავალი კაჩერდება კარებთან და ეუბნა უკდებს, თავისთვის) ეე, შეიქნა ხვარხეალი! აი კირილე ყვიჩილივით რომ არ შორდება ამ ქალებს, ნეტა რაკა წოუეა ბოლო ვიცოდე.

ნინო. კარგი, კირილე, გეყოფა ხუმრობა, (დარეჯანს) დარეჯან, ამოიღე ნომრები. იუბედოს მაგან არა უშავს რა ჩვენი ძაღლია.

ვასილა. (თავისთვის) ძაღლია და ქეც გაგკრავს კბილს ისტე ვასილას ჭონდეს შეელა! მითომ მასხრათ ქე იღებენ კირილეს, მარა ამ ქალებს ქე კი უსობს ზევით ქვევით ხელებს და რა ვიცი.

(თავის ქნევით კადის).

დარეჯანი. (იღებს ნომრებს) პედესეტ პეტ, დისეტ...

კირილე. აჰ, დღისით რავა შემიძლიან! არშიყობა ღამე უნდა, ბოშო, ღამე.

დარეჯანი. (დოტოს ჯაჭვების ბარკს თავში დაარტყამს კირილეს) გაჩუმდი, გაჩუმდი, თორემ... შეუსდგარს, შემდეგ ისევ კანაკრძობს ნომრების ამოდებას) „ტუდი-სუდი“.

კირილე. რავა, ტუდი-სუდიო? ЦѢЛОВАТЬ ЧТОЛИ?!

ხმა. (შორი სტოლიდან, სადაც ბრაჯს თამაშობენ ისმის) Помогу.

კირილე. არაფერი პამაგიტი არ მინდა. უშენოთაც კარგათ ჩავბრიშტავ ყველას. (ქალები დოტოს კარტებს დაუშენენ კირილეს, ესვეიან და ჭიდეჯენ).

ხმა. ფასი.

კირილე. ფასი, აბა დოუთვლი ასიანებს! (ქალები სტეშენ კირილეს. კირილე ტტის. დიდი სიცილია. მერე დაშაშინდებიან და ისევ თამაშობენ).

ვასილა. (ვასილა და ალათია წამ და ეუბუმ შედიან

*) ეს სცენა კლუბის გახსნამდე სწარმოუბს. კლუბის შემდეგ შემდეგ მოგახსენებთ.

და გადან. ვახშმის თავრარგში ერან. ვასილ რა დაანახვან კირილეს და ქალების ბდღარძუნს ადათას ეურში ჩურჩულებს) ე, ყოველ დღე ასეთი ჭირჩიმალია. შენ ჯერე ახალი ხარ, და არ იცი, მარა მალე გეიგებ აგენის ამბავს. ისტე ეკვირა არ გავა რამე ერთი ორჯენ მაინც არ დაგვესხენ თავს აი დიდკაცობა. მოგლან მარა სანამ თავზედ არ დაათენდებათ სულ რომ მოქნეული ღვლეტი ურტყა კანეებში, მაინც არ მოგცილდებიან. რომ დეიწყებენ აი ქალები ამ ჩუქურთულ რუსულს, ჩემი არ იყვეს, ყურთა სმენა წადებული. აი კირილე რავარც მამალი ინდოური. ისტე დაფარფატებს ამ ქალებში. გაავქს და გაავქს ლელო. ქმრები ქე უყურებენ, მარა ნიჩავო! ა, ახლა გათენებამდის იძახენენ ამ რაცხა ხრაპიაო, თუ ხაპიო და ურტყამენ და ურტყამენ კარტებს ერთი მეორეს. კარტს გაათავებენ და დეიწყება ვახშმი. მერე ტოლიბაში ვისაც გოდოულოცავს იქინე იქნება სლედეეი ვახშმი, წუხელის კოწია გაპარულაძესას ტოლიბაშს ჩემი ხაზეინიზაჟ გოდოულოცია და დღეს აქანეი კოტრიალი. ხმები: ფრაპი.

ვასილ. მაგი ხაპი დაგიყენებათ თქვენ თვალებს. ჩენ კიდო არაფერი. სიარულში და მუშაობაში ეკ მაინც არ დაგვეძინება, მარა რომ შეიყრიან თავს კუნნაში სტუმრების გოგო ბიქები და მოყობენ ხვრინვას გეგონება დუხოი მუზიკაო.

ალათა. გაჩუმდი, ბეჩა, ვასილ, არ გეიგონონ.

ვასილ. ჭმის ჯავრი ნუ გაქვს შენ. ხანდიხან ისტე კოხტათ დეიწყებენ ხრუტუნს და ისტე ლამაზათ აიწყობენ ხმას, რომე მარჯვე ბიჭი ლეკურსაც ქე ჩამოუარს. ან და რა ქნან. სხვდან გათენებამდის. უცდიან მის ხაზეინებს და ჩეეძინებათ ამა რა მოუვათ!

დარეჯანი. (ადგეკა და ვასილას ცალკე კიეკუჯანს) ბიჭო, რას ბუტბუტებ? განა დაგავიწყდა რომ სტუმრები არიან ჩვენსას! რატომ საქმეს არ შეუდგები?

ვასილ. სტუმრები თვარა პირველი ნუმერაა მაგენის სტუმრობა.

დარეჯანი. ნუ ლაპარაკობ! წადი ახლავე და სმი კალოდა კარტი მოიტანე.

ვასილ. კარტი ეგერ არა აქვთ...

დარეჯანი. ოო, ის ძველია, შე ვირო, ახალი მოიტანე.

ვასილ. რავა, გათენებამდის იქნება არ ხაპის თამაში თუ?

დარეჯანი. არა, შენ ნუ მოიგონებ ლეკურს ჩამოუვლიან შენთან!

ვასილ. ლეკურს თვარა, ერთბაშათ არ მაჯობონ. ისტე ჩამოუსრიალო. რავარც მიმინო. რავა, წუღა-მესტი არ მივარგა თუ? მაგენის პოლსაპოკ-კებს კი არ ჰგავს, ცხვრი ღლეს რამ მიუვავეს.

დარეჯანი. (კეკეკრდა) ბიჭო, გაჩუმდი! რასაც გიბძანებენ შენ ის ქენი, წადი მოიტანე კარტი და ხაზეინიც ნახე, უთხარი რომ დროზე მოვიდეს. (ადათას) შენ პრიბოლი დაასუფთავე რიგიანად გესმის?

ადათა. მესმის ქალბატონო! (ვასილა და ადათა კადიან).

დარეჯანი. (სტუმრებთან ბოდიშს იხდის) უკაცრავათ, ბატონებო, რომ მიგატოვეთ.

ყველანი. არა უშავს რა, ბატონო. ნიჩევო, პროსიმ, დაბძანდით. (დდი სიგიდეა).

ვანჩიკა. Не безпокойтесь хозяйка, садитесь пожалуйста.

ვასო. (სწრაფად წამოვარდება და ხელს შესავაზებს) Будьте любезны.

დარეჯანი. (მოკრძალებათ და თავაზიანად) გმადლობთ, ბატონებო, ნუ სწუხდეინთ, განაგრძეთ თამაში, будити какъ у себѣ дома.

კირილე. (დარეჯანს) აგერ დაჯექი, ბოშო, ჩემთან. მხარი დამიმშვენე.

დარეჯანი. (კირილეს) შენ გაჩუმდი გირჩევნია. ამ დიდათ პატივცემული სტუმრების ხათრი, თორემ მე ვიცი შენ რასაც გიზამ.

კირილე. რას მიზამ, ბოშო, რას? გულით კი გინდა, მარა ვერ მოგართვი.

დარეჯანი. რა მინდა, შე მასხარავ, რა?

კირილე. რა და კოცნა.

დარეჯანი. (ბაღიხარხარებს) ამ მაიმუნს უყურეთ რა ამბავშია!

ყველანი. (იცინიან) ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

კოლია. (სიგიდეით დარსებული) ხა, ხა, ხა, ხა... Чортъ тебя бери Кирилъ, какой ты смѣшной.

კოწია. (შეტი სიგიდეით ძღიეს და ლაპარაკობს) Да, безъ тебя правда было-бы скучно!

დარეჯანი. (სიგიდეით) ხა, ხა, ხა, ხა, კოცნაო!

გული დამსიებია შენთვის, შენმა სიცოცხლემ, უყურეთ ამ უდღეომ რა თქვა ეს, კოცნაო!!!...

ხოლომონი. (დიდკაცურად და დარბაისლურად) Дарія Кайхосровна, Вы на него не обижайтесь, Ему все простительно. Вѣдь для дураковъ законъ же не писанъ. (დადი სიდიდის შემდეგ ფრანსისტება კედლე დაიწყებენ თამაშს, დარეჯანი დოტოს ჩაუდგება).

ელენე. აბა, დარეჯან, ამოიღე კოკები შენი რიგია.

დარეჯანი. არა, დუშა, я уже винимала.

ფაცია. რა უყოთ რომ ვინიმალა. ეს ახალი ოჩერედია.

დარეჯანი. ნეტ, ნეტ ია უუე ვინიმალა.

კირილე. Я тоже вынималъ одинъ разъ, მაგრამ ეხლა ახალი ოჩერედია. შენ თუ არ გინდა, მე ამოვიღებ. ამის ამოღებას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა! (წასწვდება ხელში დარეჯანს და უნდა პარეა წაართვას).

დარეჯანი. Ты мадчи, хто тебѣ спрашиваитъ (წაუშენს თავში ხან ხელებს და ხან პარეს ერტეკენს, კირილე თავზე ხელებს აფარებს და უკარის).

კირილე. ნუ დახოცე, ბოშო, ნუ! ცოდვაა ეს პაწია ცხოველები.

ელენე. ხომ არ შეიშალე სადაა ცხოველები!

კირილე. თავში, ბოშო, ძღვის მოვაშენე.

ყველანი. რაო, პაწია ცხო

ყური მათხუე და აგიხსნი ყოლიფერსო, გავჩერდი და უყურე. მითხრა: ,,ყორიფელს სტავლა უნდა ალექსო, შენ ადგილი საქმე კი გგონია მიწის მუშაობა, მარა, მაგალ ცოდნა უნდა ძაან კაიო! ჩვენ რომ ვიცოდეთ მიწის კარგად დამუშავება, და დათხნა, ერთ ქცევაზე კაი სამოცი გოდორი სიმინდი მოგვივა, ახლა ხან თუთხმეტი გორიცაი მოგდის და ხან ათიო; იმიზა საჭიროა მარშინებით დეგიმუშაოთ მიწები და ვიცოდეთ, რუმელ მიწაზე რა იკეთებსო...

— ეუ, ძმავ, შენ მოკლილი ხომ არ ხარ, მარშინა კი არა მე ძულთათი ვიარები ამ ხრამებში, ათასჯერ გადაშიბრუნდა კოჟი მეთქი... მარშინის გუთანი შენზე უკეთესად ვილის ხრამებშიო; ამას ეარდა, ვენახის მუშაობა, შენ კი ტრაბახობ, მარა არ იცი ჩემო ალექსო. მომიყვა, ისე შობიან, ისე შობიან, დამლარს უნდა მიაქციო ყურადღება, მაგ ადესას ქე გაანებე აწი თავიო, შენი ცოლი ძაძუნიე, კაი მეოჯახე არის, მარა მებოსტნეობა იმან არ იცისო, ბევრი რამეები მელაპარაკა, კარგ ბოსტანს შუუძლია მარტო არჩინოს ოჯახიო, გაყიდი პამდოროს, კაპუსტაოს ფხალს, წვანილებსო, მერე ხილები რომ გეღუპება, და იმის მოხმარა არ იცი, მაგი რამდენი ზარალია თუ იციო... იმდენი რამეები მელაპარაკა, რომ გამაგიჟა კაცი; მეკიშმარიტა კიდეც ყორიფელი, ახლა ქე დეივნახე, რომ ვტრაბახობდი კაი მუშა ვარ მეთქი, თურმე ინჩი არ მცოდნია...

შენი კერიე დეიქცა ყაფლანა, ბიკო რავა ამიგდე აშ ყანის მუშაობაზე გული, აწი რაფერ მიმივა ჩემი თოხით ყანაზე გული მეთქი უთხარი... არა, ჩემო ალექსო, მითხრა, აი, ასე რავარც გიმუშავია ჯერ ქე იმუშავე, აწი ჩვენც გავახლოთ ვალი, ჩვენც გავაუმჯობესოთ მეურნეობა და შვილებსაც ვასწავლოთო.

— კაცო, ამ ბოლოს რავა გამუუშალე ფეხი, მეურმობას რავა ვასწავლი შვილს, მეურმე, გოგე მეავია იყო, მარა იგიც ჩემსავით დაღარიბებული იყო, მაგი რა მითხარი, მასხრობ, თუ გულით მეუბნები მეთქი... გადიხარხალა და მითხრა: ,,მეურმობა კი არა — მეურნეობა, მე რომ ჩამოგიყევი იმას მეურნეობა ქვია, მაგალითად, ვინც მიწის მუშაობით, ყანით, ბახჩით, მელვინეობით, მეხილეობით, მეაბრეშუმოებით, მეფუტკრეობით, და სხვა ამისანეებით ცხოვრობს იმას მეურნე თქვენაო... აბა, მეც მეურნე ვყოფილვარ მეთქი... ხა, შენც მეურნე ხარ, მარა, შენ უსწავლელი მეურნე ხარო, მითხრა... გენაცვალე ყაფლანა, რომ ამიხილე თვალი, მარა, აგიც მითხარი სად არის მაგისანე კლასი, მასწავლე და ტყავი რომ ევიხადო პირზე, ჩემ ბიჭს კოსტიას წროულს იქინე გუუშობ მეთქი.

— ხო მართლა, შენმა ბიჭმა ორი კლასი ქე გაათავა წროულს, პაწა ქე წაბაზადებიე ვინმეს და ქუთაისშია ფერვანში სასწავლებელი, სადაც, მე რომ გითხარი, ყორიფელს ასწავლიან იქინეო... მაშვინათე მივაბარე ბიჭი ჩვენს მასწავლებელს — ააშენა ღმერთმა ძაან მომიმზადა და ეფთ, ხუთ მანათათ თვეში. წვეიყვანე და იღბლათ დავაჭერიე ეგზამენე პრიგატოვიტელში. გადასახადი კი ყოფილა ბევრი, წელიწადში ოცი თუმანი, მარა რას ვიზამდი, სიძვირეა ყორიფელის, თვარა უწინ თურმე თორმეტი თუმანი იყო. კი მეძვირა, მარა, მაგიზა რავა დავაბკოლებდი საქმეს, ნახევარი — ასი მანათი ევისესხე და შევიტანე, ნახევარი ნაკალნდეეს უნდა შევიტანო, მარა აფერი მიჭირს, თუთუნი კარგათ მაქ წროულს, გავყიდი და გადვიხდი, მაგი აფერია მეთქი, გადავწყვიტე გულში... ცაზე მიმისტვა ხელი სიხარულით.

ჩამოვედი შინ, ვახარე ჩემს ცოლს ძაძუნიას, ბეჩა გავბედნიერდით კაცი, ჩვენი კოსტაიე რომ წავლას გაათავებს მერე აფერი გვიჭირს, ავაყვავებთ ეზო მიდამოს მეთქი. ჩამოჯღუნა იმ შეჩვენებულმა წარბები, მე გუუხარდებოდა მეგონა. ამიტრიზავა, განზე გამიგდო თლათ: გამიხარდეს კი არა, სისულელე ჩაგვიდენია, გუუგიენ ჩვენ მეზობლებს და სასიცილოთ არ ყოფნიან, ალექსამ ბიჭი ყანის თოხნის კლაში გუუშუაო, ოც თუმანს მაგიზა რას იხდიდა, თვითონ ვერ ასტავლა ყანის ჩორტნა სახლშიო.

გავცოფდი კაცი, რას მელაპარაკები ქალო, თავი არ მომაკვლიო, შენ ხვარანძიას, სუნდუხტიას და ფეფიკელას ნალაპარაკებს უჯერიხარ, თვარა მე არა მეთქი. იგენმა რა იციენ მეთქი... იგენიც ასე ჩივა და სხვებიცო... შამო მიხთა გულზე, იგენის ნალაპარაკევიზე არ მიგდია მანდა მაინც ყური, მარა, მეც ქე მითხრეს სხვებმა: ,,ბეჩა, ალექსა, რამ გაგისულელა კაცი, ამდენი ფული უნდა გადიხადო და იგიც ყანის მუშაობის სტავლა-

ში, ამას შენც კარგათ შობიო... უუხსენი, ჩვენ რო ვიცით, იგი სტაველა არაფერია, იქინე კარგათ ასტავლიან ყორიფელს მეთქი, მარა ვინ დაგიჯერა! გუუბრიყვებიხართ კაცი, იქინე იმას ასწავლიან, რაც შენ იცი, მეტს აფერს, აგერ შეგეყვანა ჩახატორის ვიში ნაჩალის კლასში უკეთესი იყო; უფრო აფიც დაგიდებოდა და ეზოშიაც არის აგერო.

ქი არ შემაფიქრეს კაცი! მართლა ამივარდა გული, დუუფიქრე და ქე არ გადავწყვიტე ბიკის გამოყვანა ფერვანის კლასიდან და ვიშინაჩალში მიცემა! ავდექი ერთ დილას და წვედი ქუთეისს. ევედი და უთხარი კლასის უბრალიაიუშიკს, ასე ყოფილა საქმე, ასე მიჩივიან, და ბაღანე უნდა წვიყვანო მეთქინ... გუუკვირდა ძალიანი და მითხრა, ტყულია მაგი, არ გაბრიყვდე, შენი თვალით ნახე, თუ რა კეთდება აქანე და დარწმუნდეპიო. ბიკთანაც მივედი, უთხარი ასე ვაპირობ მეთქინ... ხომ არ გადირიეო, რა მინდა ვიშინაჩალში, იმას რომ გავთავავე, გემლაზია და უნივერსტეტი არ გამათავებინო ნუგეშინია და ისე შიმშილით მოვკვდებიო, ვიშინაჩალი კი არა, აგია ახლა საქმე, ყველას აქანე მოყავს ბაღნებიო, თუ არაფერს ვაკეთებთ, გვიყურე დღეს აგერ და ქე ნახავო...

მართლა ვთქვი: მოდი დღეს მაინც აგერ ვარ, ვუყურებ აგენს, დევიარ ყორიფელს და ჩემი თვალით ვნახავ, ეგება მრთლა მაბრიყვებენ მეთქი... გევიარ გამოვიარე. ეწინ მარანში შევედი, ღვინოს კეთებას ვუყურე, ვნახე, მარა რა ვნახე, გონზე ვერ მოვედი, ვიხედები იქით, აქეთ, არც საწნახელი, არც ჭურები, არც ორჩხეში და არც კოპა: ვკითხე, საწნახელი რომ არ გაქვენ, რაში ჭნეხთ ყურძენს მეთქი; რაში და აგერ ამაშიო, მითხრეს და მიჩვენეს, რაცხა საქაჯავი, ყრიდენ შით ყურძენს, ზედ დახურულ როგოსავით ფიცარს ატრიალებდენ და წურავდენ... აგი უკეთესათ წურავს ყურძენსო, უფრო წმინდათო, მითხრეს; ჭურებში ღვინოს არ ვასხამო, აგერ ამ ბოჭკებშიო, მიჩვენეს ბოჭკები, ღიდხანს ვუყურე იქინე, მუშაობდენ ფართუკებით უჩენიკები, თაგზე მასწავლებელი ადგა... გაავსეს ერთი უშველებელი ჭიქა და გადმახუხვეს შავი, ყურყუმასავით ღვინო: აგი საფერავია კახურიაგო. მართლა ისე გამახარა, რომ თაკარა გამინინა კუჭში. მერე გევედი ქუხნაში, იქინე რაცხას წითელს ხარჩავდენ და ბოთლებში ასხამდენ, აგერ ტაფებზე რაცხას ადუღებდენ: ვუყურე, ვუყურე, მარა ვეფერე, მიეხვა — ეგ ვიკადრე კითხვა. მითხრეს: „აგი ეშმაკისა“ — ეს გაკეთებულს პიურე ქვიაო, ბოთლებში დიდხანს ინახება, როცა გინდა იმმარ საჭმლის გასაკეთებლათო. აგენი მურაბებიაო, აგი ვაშლის მურაბა არისო, აგი ბიესო, აგი ჟილეაო, აგი მარმალადიო. რავიცი, რამდენი სახელები მასწავლეს და მითხრეს, მარა, ვის ახსოვს ნახევარი. ძაან გამიკვირდა, ქათმის წელებში მურაბას ასხამდენ, მურაბის კუბატს რო აკეთებდენ. გამოვედი გარეთ ეგერ დიდი ფეჩი იყო, გაკეთებული იყო მწვანილების და ხილების სახმობი, ახმობდენ კომბოსტოს, მწვანილებს, ხილებს...

ვაი, დედა შენს, ძაძენია, ვოქვი გუნებაში. თუ ჩამევედი შინ მოგეფდები ძრუგზე. შენ რომ არც მურაბების გაკეთება იცი, არც პიურეს, არც ხილის გახმობა და აფერი, ასე ქე მამადლი დიდ გულს... აგენი ყველა ქალის საქმეა. აქანე ბიჭები სტაველობენ მშვენიერთ, ჩვენში ციცებმაც არ იციან. ჩვენდი ბაღში, რას ნახავს უკეთესს თვალი: ყვავილები, მშვენიერი ხეები, გამინათლდა გული. ჩვენდი ბოსტანში—გადვრიე კაცი, სულ არ გავდა ჩემი ძაძუნიეს გაკეთებულ ბოსტანს: საფსე პამიდორები, უშველებვან უშველებვანი, აგერ პატრიჟანები, კომბოსტოები, კარტოფილები, ვოხრახუშები, რა ვიცი, რამდენი რაი არ იყო; ეერ ვენახის ნერგები, ყორიფელს ასწავლიან თურმე იქინე: ყურძნის მოყვანას, აბრეშუმობას, მეფუტკრობას, მემოსტნეობას, მეღვინეობას, მებაღეობას, აი მანდარინებიო, დაფნის ნერგებიო, ხეხილებიო, რა ვიცი, ყოლიფერი იქინე ყოფილა. კინაღამ არ დვეღლუპე კაცი? რავა გამომყავდა ბაღანე ტყულათაი. მოდი და დუუჯერე ახლა ნალაპარიკს კაცმა... ვიში ნაჩალში ასი ბაღანე რომ მყავდეს, ერთს არ შევიყვან, ყველას აქანე შევიყვან თუ ვიცოცხლე.

ლუკაიეს ობოლი.

ფოსტა

ჩიგორგალს. თქვენ იწერებით:

„ძმაო ეშმაკო! გესალამებიან,
მოშავდა წერის მადა“-ო...

ბედნიერი კაცი ყოფილხართ, ვინაიდან ეს ერთად-ერთი „მადაა“, რომლის დაკმაყოფილებაც შეიძლება „ოჩერედში“ ჩაუდგომლათ.

ხინკაძეს. თქვენი „ლექსი პროზაათ“ ამ ფიტყვებით თავდება:

„ფასიანომ თავგანი ტუჩები ანიანის ტუჩებში ჩასასოფლავა“-ო.

საზოგადოთ „საფლავების ხანა“ გვიდგას. მოგესალმებათ, ლამის მთელი ქვეყანა სასაფლაოთ გადაიქცეს. ჩვენმა რედაქტორმაც თქვენი წერილი საერედაქციო კალათაში ჩასაფლავა.

ოცნებაძეს. „წყალში ეცურა ეცურა
და ბოლოს ბოლოს
და ბოლოზე რაგორც ქორა“...

ალფავიტში რომ ერთი ნიშანი ჩაგეცვალა, პირდაპირ იდეალს მიაღწევდით. ეშიშობთ კორექტურული შეცთომა არ იყოს, ვინაიდან „ხმელეთზე მოცურავე ქორი“ ვერ წარმოუდგენია ჩვენს ოცნებას.

კოშკის ძირელს. ეს თქვენი ლექსი პირველია ჩვენს რედაქციაში. წინანდელების დაუბეჭდაობას ტყვილათ გვისაყვედურებთ.

„მე ის „გმირი“ ვერ მიჩიოდეს და ეურებზე ხეზე ვერ დამაწერის“-ო.

სწერთ ლექსის ბოლოში. სრული სიმართლეა. ხახვი ახლანდელ დროში არც ისე ხელწამოსაკრავი სანოვაგეა, რომ ყველა ყურებზე სთალო და სჭრა.

ხონის „სამეგა“



ჩვენს რედაქციას შემოხვეოდა ჩაუვარდა ხელში ეს ფოტოგრაფია. ჯერ კარგათ არ გიცნია, ვის კალამს ეკუთვნის იგი, ან რას გამოხატავს მისი მოხაზულობა.

ამბობენ, თითქოს, აქ იყოს გამოხატული ხანი ხონელი ცილისმწამებელი, რომელთაც სამსჯავროს წინაშე განაცხადეს თავისი დანაშაული და ამით დაიმსახურეს ხასიელის პატიება.

ჩვენი რედაქცია აპირობს ეს სურათი ხელოვანთა ხაზოგადოებას გადასცეს განსახილველათ.

რედაქტორ-გამომც. ო. ბოლოქაძე. ნებადართულია სუბ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუსეთისა, ფოთი, ☆ 1